ზოგადი პროფესიული სტანდარტები

ზოგადი პრინციპები:

1. მედიასაშუალების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს მოქალაქეებს ინფორმირებული, გაცნობიერებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებაში;

2. ჟურნალისტი ვალდებულია არ აქციოს საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად პიროვნების პირადი ცხოვრების დეტალები; მაგრამ თუ ის ამას მაინც აკეთებს, ვალდებულია, აუხსნას აუდიტორიას, თუ რატომ არის ამ ინფორმაციის გამოქვეყნება აუცილებელი;

3. დაუშვებელია რელიგიურ-ეთნიკური, რასობრივი, გენდერული ან სექსუალური ნიშნით ადამიანების დისკრეტიდაცია;

4. დაუშვებელია საზოგადოებაში ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნებისმიერი სახის შუღლის გაღვივება და საზოგადოების დაპირისპირება;

5. დაუშვებელია ძალადობისკენ ნებისმიერი მოწოდება;

6. ჟურნალისტი თანაბრად უნდა ემსახუროს საზოგადოების ყველა ჯგუფს;

7. არასრულწლოვანთა შესახებ ნებისმიერი ინფომაციის საჯაროდ გამოქვეყნებისას, დაუშვებელია დანაშაულის მსხვერპლის ან დამნაშავის იდენტიფიცირება.

8. დანაშაულის გაშუქებისას დაუშვებელია ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა ნათესავებისა და მეგობრების იდენტიფიცირება მათი თანხმობის გარეშე, თუ მათ პირდაპირი კავშირი არა აქვთ საქმესთან;

9. პრესამ არ უნდა მოახდინოს სექსუალური ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება ან გამოაქვეყნოს მასალა, რომელმაც შესაძლოა, ხელი შეწყოს ასეთ იდენტიფიცირებას;

10. უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად ჩაითვალოს შემდეგი: პლაგიატი, ცილისწამება, დაუსაბუთებელი ბრლადებები, ნებისმიერი ფორმით ქრთამის აღება ინფრომაციის გამოქვეყნებისა ან დაფარვის სანაცვლოდ;

11. მედიასაშუალება ვალდებულია, მკვეთრად გამიჯნოს სარეკლამო და სარედაქციო მასალები;

პროფესიული მოვალეობები:

1. ჟურნალისტი უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტელექტუალური ზეგავლენისგან, ისე იმ მედიასაშუალების ფინანსური სტრუქტურების ზეგავლენისგან, სადაც ის მოღვაწეობს;

2. ჟურნალისტის მიერ გადმოცემული ინფორმაცია უნდა იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური, დაბალანსებული; დაუშვებელია ფაქტებით მანიპულირება და კომენტარების ინტერპრეტირება;

3. ჟურნალისტმა უნდა წარმოაჩინოს თემასთან დაკავშირებული ყველა ხელმისაწვდომი მოსაზრება, ყველა შესაძლო მხარე, ნეიტრალური ექსპერტის ჩათვლით;

4. დაუშვებელია წინასაწარგანზრახვით ფაქტების დამალვა ან დამახინჯება;

5. ჟურნალისტი პასუხს აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე. ინფორმაცია უნდა გადამოწმდეს მაქსიმუმ – ყველა და მინიმუმ – ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყაროს საშუალებით;

6. დაუშვებელია ჟურნალისტის მიერ პიროვნების შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი გამოთქმებისა და ფრაზების გამოყენება;

7. ჟურანალისტმა თავი უნდა შეიკავოს შეფასებითი გამოთქმებისა და ფრაზებისაგან და მაქსიმალურად ეცადოს, წარმოჩნდეს ნეიტრალურ მხარედ;

8. ჟურნალისტმა არ უნდა დაარღვიოს რესპონდენტთან წინასწარ შეთანხმებული პირობა;

9. ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს ანონიმური წყაროებისაგან, მაგრამ თუ მაინც იყენებს მათ, მკითხველს უნდა განუმარტოს, რატომ არ სახელდება რესპონდენტის ვინაობა, რატომაა მნიშვნელოვანი ეს ანონიმური ინფორმაცია და რატომ იყო შეუძლებელი ინფორმაციის მიღება ღია წყაროებიდან;

10. ჟურნალისტი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს ანონიმური წყაროს ვინაობა, გარდა სასამართლო ხელისუფლების მიერ კანონით გათვალისწინებული საგანგებო მოთხოვნისა;

11. ჟურნალისტს ფარული ჩანაწერის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ინფორმაციის მისაღებად. სტატიაში ფარული ჩანაწერიდან ციტირება დაუშვებელია;

12. დაუშვებელია პროფესიულ საქმინაობაში ისეთი მეთოდების და ხერხების გამოყენება, რომლებიც სახელს უტეხენ მედიას და უკარგავენ საზოგადოების ნდობას;

13. დაუშვებელია პირადი ფინანსური დაინტერესების საფუძველზე მასალების მომზადება და გამოქვეყნება;

14. ჟურნალისტი ვალდებულია კანონით დადგენილი ყველა საშუალება გამოიყენოს საჯარო ინფორმაციის მოსაპოვებლად და თუ ასეთ ინფორმაციას მაინც ვერ მიიღებს, ამის შესახებ განმარტებები უნდა მისცეს მკითხველს;

15. ჟურნალისტს ეკრძალება ნებისმიერ პარტიაში გაწევრიანება, საარჩევნო ადმინისტრაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა;

16. ჟურნალისტს ეკრძალება ნებისმიერი სახის პოლიტიკურ განცხადებასა და პეტიციაზე ხელისმოწერა; ასევე საჯარო პოლიტიკური განცხადებების გაკეთება;

17. ჟურნალისტი ვალდებულია, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, განაცხადოს რედაქციაში;

18. სათაურები უნდა შეესაბამოდეს სტატიის შინაარსს;

19. საჭიროა სიფრთხილისა და თანაგრძნობის გამოჩენა იმ შემთხვევების გაშუქებისას, რომლებიც პიროვნულ მწუხარებასა და სულიერ განცდებს უკავშირდება, თუმცა ამ ნორმამ არ უნდა შეზღუდოს სამართლებრივი პროცესები, როგორიცაა გამოძიება, გაშუქება.

პროფესიული უფლებები

1. ჟურნალისტს უფლება აქვს, დასაბუთებული (რელიგიური მოსაზრებების, ინტერესთა კონფლიქტის) უარი განაცხადოს რაიმე მასალის მომზადებაზე; დაუშვებელია ჟულნალისტის იძულება, ჩაიდინოს პროფესიული ქმედება ან გამოხატოს თვალსაზრისი, რომელიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს და სინდისს;

2. ჟურნალისტს უფლება აქვს, ითანამშრომლოს სხვა მედიასაშუალებასთან იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებულია რედაქციასთან;

”ზოგადი პროფესიული სტანდარტები” შეიმუშავეს გაზეთებმა - ”სამხრეთის კარიბჭე”, ”ახალი გაზეთი” და ”სპექტრი”, OSGF –ის მიერ დაფინანსებული პროექტის - ”რეგიონული მედია – საზოგადოების ნდობის გაღრმავებისათვის” – ფარგლებში, ”ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის” ხელშეწყობით. ამ სტანდარტების დაცვა სავალდებულოა ზემოთ ჩამოთვლილი გაზეთების ჟურნალისტებისათვის.